საბაზო პროფესიული უნარების ტესტი

შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითპასუხებიანი, შესაბამისობის და ღია დავალებები (სულ 37 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 45.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

* ზოგიერთი დავალება არ თავსდება ერთ გვერდზე, ასეთ შემთხვევაში მეორე გვერდის მოსაძებნად დავალების ნომერს ემატება ლათინური ასო - a.

ინსტრუქცია

არჩევითპასუხებიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხებიანი დავალებები ერთქულიანია.

დავალება N 1

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად მასწავლებლები სხვადასხვა სტრატეგიას იყენებენ. სტრატეგიის ადეკვატურად შერჩევა მნიშვნელოვნად ამცირებს კლასში პრობლემური ქცევების გამოვლენის ალბათობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ჩამოთვლილთაგან **ყველაზე მეტად** რომელი სტრატეგია შეუწყობს ხელს კლასში პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას?

ა) მასწავლებელი მოსწავლის არასასურველ ქცევაზე სწრაფად რეაგირებს და მკაცრად მიუთითებს მის მიერვე წინასწარ შემუშავებულ წესებზე, რადგან მიაჩნია, რომ მათი დაცვა პოზიტიური სასაწავლო გარემოს შექმნის გარანტიაა.

ბ) მასწავლებელი მოსწავლის არასასურველ ქცევაზე რეაგირებს პოზიტიური დასჯით, რადგან მიაჩნია, რომ კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს შესაქმნელად მთავარია დასჯა - წახალისების მექანიზმის ადეკვატურად გამოყენება.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

გ) მასწავლებელი მოსწავლის არასასურველ ქცევას მისი თანაკლასელების მსჯელობის საგნად აქცევს, რადგან მიაჩნია, რომ თანაკლასელებისაგან მიღებული უკუკავშირი მოსწავლის არასასურველი ქცევის პრევენციის საუკეთესო მექანიზმია.

დ) მასწავლებელი მოსწავლის არასასურველ ქცევას უყურადღებოდ ტოვებს და რეაგირებს მხოლოდ მისაღებ ქცევებზე, რადგან მიაჩნია, რომ არასასურველი ქცევის პრევენციისათვის უფრო ხანგრძლივ ეფექტს იძლევა მოსწავლის სასურველი ქცევის წახალისება.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 2

მოსწავლეთა საკლასო შეფასება, როგორც პროცესი, ოთხ ეტაპად შეიძლება დაიყოს. შეფასების ერთ-ერთი მთავარი ეტაპია მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა შედეგების გაანალიზება.

ჩამოთვლილთაგან რომელი **არ არის** მოსწავლეთა შედეგების ანალიზის მიზანი?

ა) კლასის დამრიგებლის მიერ ინტელექტის მაღალი კოეფიციენტის მქონე მოსწავლეების გამოვლენა.

ბ) სკოლის ადმინისტრაციის მიერ სხვადასხვა კლასებსა და საგნებში ზოგადი ტენდენციის გამოვლენა.

გ) სწავლის ხელშესაწყობად მოსწავლის საჭიროებებიდან და მიღწევებიდან გამომდინარე რეკომენდაციების შემუშავება.

დ) სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ დაგეგმილ და გამოყენებულ სტრატეგიებთან დაკავშირებით დასკვნების გამოტანა.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 3

მეტაკოგნიტური უნარების განვითარება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ჩამოთვლილთაგან მეტაკოგნიციის შესახებ გამოთქმული რომელი მსჯელობა/მსჯელობებია მართებული?

I. მეტაკოგნიტური უნარების განვითარება მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ კომპეტენტური ადამიანის დახმარებით.

II. მეტაკოგნიტური უნარები ეხმარება მოსწავლეს, გააკონტროლოს საკუთარი მიღწევები და დაისახოს უფრო მაღალი მიზნები.

III. მეტაკოგნიტური უნარების გამოყენებით მოსწავლე აანალიზებს საკუთარი სწავლის პროცესს და განსაზღვრავს პრიორიტეტებს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 4

საკლასო შეფასება სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია. არსებობს შეფასების ორი ძირითადი ტიპი - განმავითარებელი და განმსაზღვრელი. ორივე შეფასება ემსახურება მოსწავლეების ცოდნის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, თუმცა მათ შორის განსხვავებას დიდწილად განსაზღვრავს ის, თუ სწავლების რომელ ეტაპზე და რა მიზნით იყენებს მასწავლებელი თითოეულ მათგანს.

განმსაზღვრელი შეფასების ამოცანაა:

ა) მოსწავლის წინარე ცოდნისა და მასთან დაკავშირებული ვითარების დადგენა.

ბ) ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესების შეფასება.

გ) მოსწავლის მიერ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარების შეფასება.

დ) მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 5

მოსწავლე გაკვეთილზე თავს არიდებს ტექსტის ხმამაღლა კითხვას, რცხვენია, რადგან კითხვა უჭირს.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობით შეუწყობს ხელს მასწავლებელი მოსწავლეს სიმორცხვის დაძლევაში?

ა) მასწავლებელმა მოსწავლეს უფლება უნდა მისცეს, რომ იჯდეს ჩუმად და მოუსმინოს, როგორ კითხულობენ სხვები.

ბ) მასწავლებელმა მოსწავლეს უფლება უნდა მისცეს, ტექსტი წაიკითხოს ადგილიდან და არ გამოვიდეს კლასის წინაშე.

გ) მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ერთობლივი კითხვის მეთოდი და მოსწავლეს ტექსტი წააკითხოს წყვილში თანაკლასელთან ერთად.

დ) მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა აუხსნას, კითხვისათვის თავის არიდება შედეგს ვერ გამოიღებს და ჯობს, შენიშვნები გაითვალისწინოს.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 6

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის მიერ მოსწავლისათვის მიცემული რომელი დავალება შეუწყობს ხელს **ყველაზე მეტად** მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას?

ა) მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს, რომ ტექსტის წაკითხვის შემდეგ ჩამოაყალიბოს ავტორის ძირითადი სათქმელი.

ბ) მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს, რომ ტექსტის წაკითხვის შემდეგ მისი შინაარსი გეგმის სახით ჩამოაყალიბოს.

გ) მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს, რომ ტექსტში დაშვებული შეცდომები სქემის მიხედვით გაასწოროს.

დ) მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს, რომ თავისი სიტყვებით მოუყვეს ახალი მასალა თანაკლასელებს.

დავალება N 7

კლასმა ნაწარმოების შესწავლა დაასრულა და ქართულის მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა ორი მთავარი პერსონაჟის ერთმანეთთან შედარება. მათ უნდა გამოეყოთ პერსონაჟების მსგავსი და განმასხვავებელი თვისებები და რომელიმე გრაფიკული ორგანიზატორის გამოყენებით წარმოედგინათ კლასის წინაშე.

ჩამოთვლილთაგან რომელი გრაფიკული ორგანიზატორის გამოყენებაა მიზანშეწონილი მოცემულ შემთხვევაში?

ა) კორნელის გრაფის

ბ) ვენის დიაგრამის

გ) სიტყვების რუკის

დ) დროის ხაზის

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 8

ტესტირება მოსწავლეთა შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და მის შედეგებს მასწავლებელი სასწავლო პროცესში სხვადასხვა მიზნით იყენებს.

ჩამოთვლილთაგან ტესტირების შესახებ გამოთქმული რომელი მოსაზრებაა **მცდარი?**

ა) ტესტირების შედეგები იძლევა ინფორმაციას იმ მიზეზების შესახებ, თუ რატომ ვერ დაძლია მოსწავლეთა ნაწილმა განვლილი სასწავლო მასალა.

ბ) ტესტირება მასწავლებელს სისტემატური მონიტორინგის საშუალებას აძლევს, ის ამოწმებს, თუ როგორ აითვისეს მოსწავლეებმა განვლილი მასალა.

გ) ტესტირების შედეგების საფუძველზე მასწავლებელს შეუძლია ივარაუდოს, გაამართლა თუ არა მის მიერ გამოყენებულმა სწავლების მეთოდმა.

დ) ტესტირების შედეგები მასწავლებელს ეხმარება, განსაზღვროს სასურველი თემები და სასწავლო პროცესი მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით დაგეგმოს.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 9

სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში მასწავლებლებმა გადაწყვიტეს ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება.

რომელ დებულებაშია გადმოცემული ინტეგრირებული გაკვეთილის არსი?

ა) ინტეგრირებული გაკვეთილი გულისხმობს სსსმ მოსწავლის არა მხოლოდ ისგ-ით სწავლებას, არამედ მის ჩართვას არაფორმალური განათლების პროცესში.

ბ) ინტეგრირებული გაკვეთილის მიზანია რამდენიმე საგნის კოლაბორაციით სსსმ მოსწავლის ცოდნისა და უნარების ერთმანეთთან დაკავშირება.

გ) ინტეგრირებული გაკვეთილი გულისხმობს სსსმ მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში თანაკლასელებთან ერთად მულტიმოდალური სწავლების გამოყენებით.

დ) ინტეგრირებული გაკვეთილის მიზანია, საგნის მასწავლებლებმა ერთობლივად დაგეგმონ სსსმ მოსწავლის გამარტივებული მეთოდით სწავლების პროცესი.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 10

დროის ეფექტიანად მართვა მასწავლებელს საშუალებას აძლევს, გაკვეთილი იყოს საინტერესო, ნაყოფიერი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია დაეხმარება **ყველაზე მეტად** მასწავლებელს საგაკვეთილო დროის ეფექტიან მართვაში?

ა) გაკვეთილზე წარმოქმნილი ნებისმიერი მოულოდნელობის აღმოსაფხვრელად საჭირო დროის წინასწარ განსაზღვრა, რათა არ ჩაიშალოს სასწავლო პროცესი.

ბ) გაკვეთილზე ყველა აქტივობისათვის დროის ზუსტად განსაზღვრა, პაუზების თავიდან აცილება, რაც დროის დაკარგვასა და გაკვეთილის მიზნიდან გადახვევაზე მიანიშნებს.

გ) მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების წინასწარ მომზადება და გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებისათვის მათი გაცნობა.

დ) მასწავლებლის მიერ დროის მართვისა და დაგეგმვის პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება და თითოეული მოსწავლის მიერ საგაკვეთილო დროის თანაბრად გამოყენების მონიტორინგი.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 11

დისკუსია ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი მეთოდია და ეხმარება მოსწავლეებს საკითხის სიღრმისეულად განხილვაში. დისკუსიის წარმართვა მოითხოვს როგორც დისკუსიის წამყვანის, ასევე მისი მონაწილეებისაგან გარკვეული საკითხების გათვალისწინებასა და ცოდნას.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელ ქმედებაში ჩანს, რომ ის დისკუსიის წარმართვის დროს **შეცდომას** უშვებს?

ა) მასწავლებელი აკონტროლებს, რომ დისკუსიის დროს მოსწავლეებმა კონკრეტული საკითხიდან არ გადაუხვიონ.

ბ) მასწავლებელი აფასებს დისკუსიის შინაარსობრივ მხარეს - მოსწავლეთა მოსაზრებებს, შეხედულებებსა და იდეებს.

გ) მასწავლებელი პასიურ მოსწავლეს დისკუსიაში ჩართვის მიზნით თანაკლასელებისაგან განსხვავებულ დამატებით კითხვებს აძლევს.

დ) მასწავლებელი მოსწავლეს, რომელიც თანაკლასელებს არ აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას, მოუწოდებს, დაიცვას დისკუსიის წესები.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 12

დაწყებით კლასში მასწავლებელი გეგმავს საკლასო ქცევის წესების შედგენას ისე, რომ ისინი მოსწავლეებისათვის მარტივად გასაგები და ადვილად შესასრულებელი იყოს.

ჩამოთვლილთაგან რომელი მიდგომა დაეხმარება მასწავლებელს **ყველაზე უკეთ** ამ მიზნის მიღწევაში?

ა) მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ადგენს მოთხოვნების ვრცელ ჩამონათვალს, რათა თავიდან აიცილოს მოულოდნელობები კლასში.

ბ) მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ჩამოაყალიბებს ამკრძალავი წესების სიას, რათა მოსწავლეებმა ზუსტად იცოდნენ, რომელი ქცევებია დაუშვებელი.

გ) მასწავლებელი თავად განსაზღვრავს ქცევის ყველაზე მნიშვნელოვან წესებს და მოსწავლეებს უხსნის კლასში მათი დაცვის მნიშვნელობას.

დ) მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრავს ქცევის რამდენიმე მოკლე და მკაფიო წესს, რომლებიც აღწერს სასურველ ქცევას სასწავლო პროცესში.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 13

მასწავლებელმა ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები გააფრთხილა, რომ ლიდერად აერჩიათ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ის მოსწავლე, რომელთანაც თანაკლასელებს უჭირთ ურთიერთობა.

მასწავლებლის ეს ქმედება მოსწავლის სოციალური ინტეგრაციის გასაძლიერებლად:

ა) **გამართლებულია,** რადგან აკადემიური მიღწევების ხაზგასმა ზრდის მოსწავლის ავტორიტეტს, წარმოაჩენს მას, როგორც კომპეტენტურ წევრს და ქმნის მოლოდინს, რომ მისი ჩართვა სასარგებლო იქნება საერთო აკადემიური შედეგისათვის.

ბ) **გამართლებული არ არის**, რადგან აკადემიურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით ლიდერის არჩევამ შესაძლოა კლასში ხელი შეუწყოს იერარქიული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას და არა თანამშრომლობით ურთიერთობებს.

გ) **გამართლებულია,** რადგან მაღალი დისციპლინისა და მკაფიო წესების მქონე საკლასო გარემოში მასწავლებლის სიტყვიერი მითითება ქმნის ერთიან მოლოდინს და უზრუნველყოფს ჯგუფურ განხილვაში თანაბარ ჩართულობას.

დ) **გამართლებული არ არის,** რადგან ჯგუფური მუშაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში უწყობს ხელს მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას, როდესაც ჯგუფები იქმნება მოსწავლეთა მეგობრობის პრინციპით.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 14

მასწავლებელმა გაკვეთილზე გამოიყენა აქტივობა: „დაფიქრდი, დაწყვილდი, გაუზიარე“. მოსწავლეები პირველ ეტაპზე ინდივიდუალურად დაფიქრდნენ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვაზე, შემდეგ განიხილეს თავიანთი მოსაზრებები წყვილებში, ბოლოს კი განხილული საკითხები კლასს გაუზიარეს.

ჩამოთვლილთაგან რომელ მსჯელობაში/მსჯელობებში ჩანს მასწავლებლის მიერ შერჩეული აქტივობის ძლიერი მხარე?

I. მოსწავლეთა დიდი ჯგუფების ინდივიდებად და წყვილებად დაყოფა მასწავლებელს უადვილებს სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და მის მართვას.

II. მოსწავლეები წყვილებში მუშაობით გაივარჯიშებენ ისეთ მნიშვნელოვან უნარებს, როგორებიცაა: კომუნიკაცია, მოსმენა და თანამშრომლობა.

III. მოსწავლეებს საკითხზე ჯერ დამოუკიდებლად ფიქრით, შემდეგ კი მეწყვილესთან მსჯელობით უვითარდებათ კრიტიკული აზროვნების უნარი.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 15

პორტფოლიო შეფასების ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია და მისი წარმოება სწორად უნდა შეეძლოთ როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს.

პორტფოლიოს შედგენის შესახებ გამოთქმული რომელი მოსაზრებაა მართებული?

ა) პორტფოლიოში მოსწავლეებს შეუძლიათ პირველადი, შავად შესრულებული ნამუშევრების მოთავსებაც.

ბ) მასწავლებლის მიერ უნდა განისაზღვროს, მოსწავლის რამდენ ნამუშევარს უნდა მოიცავდეს პორტფოლიო.

გ) პორტფოლიოში მოსათავსებლად მოსწავლემ მის მიერ შესრულებული საუკეთესო ნამუშევრები უნდა შეარჩიოს.

დ) მოსწავლეები ნამუშევრებს აძლევენ მასწავლებელს, ის კი შეარჩევს ისეთებს, რომელთა პორტფოლიოში მოთავსებაც მიზანშეწონილია.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 16

ჩამოთვლილთაგან რომელია ის უპირატესობა/უპირატესობები, რაც კლასის მართვაზე პასუხისმგებლობის მოსწავლეებზე გადანაწილებით მიიღწევა?

I. მოსწავლეებს უვითარდებათ სოციალური უნარები, შედეგად იკლებს აგრესიული ქცევის გამოვლენის ალბათობა.

II. მასწავლებელი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე და ოპერატიულად აგვარებს კლასში მოსწავლეების მიერ შექმნილ პრობლემებს.

III. მოსწავლეებს უვითარდებათ თვითდისციპლინის უნარი და მას ავლენენ მაშინაც, როცა ქცევის გარეგანი რეგულაციები არ არსებობს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 17

მასწავლებელმა მოსწავლეებს გერმანულ ენაზე ბოსტნეულისა და ხილის სახელები ასწავლა და დავალებად მისცა ახლად ნასწავლი სიტყვების გამოყენებით დაეწერათ თემა - „შემოდგომა ჩემს სოფელში“.

მოსწავლის რომელი უნარის განვითარებას შეუწყობს ხელს მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობა?

ა) ტრანსფერის უნარის

ბ) მეტაკოგნიტური უნარის

გ) კრიტიკული აზროვნების უნარის

დ) ანალიტიკური აზროვნების უნარის

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 18

მასწავლებლის კომენტარი მიმდინარე შეფასების ერთ-ერთი მეთოდია, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სწავლის ეფექტიანობის ამაღლებას.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის კომენტარის შესახებ გამოთქმული რომელი მსჯელობაა მართებული?

ა) კომენტარი არ უნდა მოიცავდეს ზედმეტ კრიტიკას, მოსწავლის თვითშეფასებისა და მოტივაციის ასამაღლებლად კი მისი გადაჭარბებული ქება დასაშვებია.

ბ) კომენტარი უნდა იყოს ზოგადი და აფასებდეს არა მხოლოდ ნაშრომს, არამედ მოსწავლის პიროვნულ თვისებებსა და კოგნიტურ შესაძლებლობებსაც.

გ) მასწავლებელმა კომენტარი აუცილებლად ნაშრომის დადებითი მხარის აღნიშვნით უნდა დაიწყოს და შეცდომაზე მხოლოდ ამის შემდეგ მიუთითოს.

დ) კომენტარი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა არ გამოსდის მოსწავლეს და სამომავლოდ როგორი შეცდომები არ უნდა დაუშვას მან.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 19

მოსწავლე თავს არიდებს საკლასო გამოკითხვას იმის შიშით, რომ მისი პასუხები შეიძლება სწორი არ იყოს.

ყველაზე მეტად რომელი ქმედებით შეძლებს მასწავლებელი მოსწავლისათვის ინტელექტუალურად უსაფრთხო გარემოს შექმნას?

ა) მასწავლებელმა უნდა გააძლიეროს დისციპლინა, რითაც უზრუნველყოფს თანასწორ, ფორმალიზებულ სასწავლო პროცესს.

ბ) მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ შეცდომების დაშვება მისაღებია და ის სასწავლო პროცესის ნაწილია.

გ) მასწავლებელმა უნდა მიიღოს მოსწავლის პასიურობა, როგორც მისი ხასიათის ინდივიდუალური თავისებურება.

დ) მასწავლებელმა უნდა მოამზადოს შედარებით ადვილი კითხვები, რათა შეამციროს კლასში სტრესული გარემო.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 20

თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება მოსწავლეებს აძლევს იმის საშუალებას, რომ უფრო კარგად გააცნობიერონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები.

მასწავლებლის მიერ მიცემული რომელი რჩევა **ვერ დაეხმარება** მოსწავლეებს თვითშეფასების გაუმჯობესებაში?

ა) ურჩიოს მოსწავლეებს ჩანაწერების, დღიურების წარმოება, რაც მათ საშუალებას მისცემს, დააკვირდნენ საკუთარ პროგრესს.

ბ) ურჩიოს მოსწავლეებს საკუთარი და თანატოლთა ნამუშევრების შეფასება, რათა უკეთ დაინახონ თავიანთი შესაძლებლობები.

გ) ურჩიოს მოსწავლეებს, საქმე კარგად შეასრულონ, რადგან წარმატების მიღწევისათვის კონკურენციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

დ) ურჩიოს მოსწავლეებს, შეხვდნენ მასწავლებლებს ინდივიდუალურად, რათა ერთად გააანალიზონ თავიანთი წარმატებები და პრობლემები.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 21

მოსწავლე გაკვეთილზე აქტივობების ცვლილებების დროს ყოველთვის განიცდის სტრესს, ნერვიულობს და ეწყება შფოთვა.

ჩამოთვლილთაგან **ყველაზე უკეთ** რომელი სტრატეგიის გამოყენებით შეძლებს მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეს აქტივობების ცვლილებებთან ადაპტაციაში?

ა) წინასწარ გააფრთხილოს მოსწავლე, გამოიყენოს ცვლილებების განრიგი მათი შინაარსის გასაცნობად.

ბ) ყურადღების გადატანის და დამშვიდების მიზნით მისცეს მოსწავლეს მისთვის საინტერესო დავალება.

გ) სთხოვოს მოსწავლის თანაკლასელებს, აუხსნან მას, თუ საკლასო სამუშაოს რომელ ეტაპზე გადადის კლასი.

დ) მისცეს მოსწავლეს დრო, რომ მან დამოუკიდებლად გაართვას თავი სტრესს და დაუბრუნდეს სასწავლო პროცესს.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 22

მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო პროცესში მშობლების აქტიურ ჩართულობას, რაც მათთან ეფექტიანი კომუნიკაციით მიიღწევა.

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაცია დაეხმარება მასწავლებელს მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებაში?

ა) მშობლებთან კომუნიკაცია დაგეგმეთ მხოლოდ სასკოლო კრებებისა და სხვადასხვა ოფიციალური ღონისძიებების ფორმატში.

ბ) მშობლებთან კომუნიკაციის დროს გაითვალისწინეთ, რომ მათ აქვთ უფლება, დარჩნენ საკუთარ პოზიციაზე და არ მიიღონ თქვენი ზოგიერთი რჩევა.

გ) მშობლებს ინდივიდუალურად შეეხმიანეთ მხოლოდ ბავშვთან დაკავშირებული საგანგებო ან პრობლემური სიტუაციების შექმნის დროს.

დ) ყველა მშობელთან გამოიყენეთ ერთნაირი მიდგომა, ნუ განასხვავებთ მათ კულტურის, სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 23

მოსწავლეს საკლასო სივრცეში უჭირს იმპულსისა და ქცევის კონტროლი.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგიით/სტრატეგიებით დაეხმარება მასწავლებელი მოსწავლეს თვითრეგულაციის უნარის გაუმჯობესებაში?

I. მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს შენიშვნას ყოველთვის, როცა ის გამოავლენს არასასურველ ქცევას.

II. მასწავლებელი სასურველი ქცევის გამოვლენის შემთხვევაში დღის ბოლოს აფასებს მოსწავლის ქცევას და აქებს მას.

III. მასწავლებელი სასურველი ქცევის გამოვლენის შემთხვევაში მყისიერად აქებს მოსწავლეს და უხსნის შექების მიზეზს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 24

სწავლა-სწავლების პროცესში ხშირად გამოიყენება პროექტებით სწავლება, რომელიც მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარებას უწყობს ხელს.

პროექტებით სწავლებასთან დაკავშირებით გამოთქმული რომელი მოსაზრება/მოსაზრებებია მართებული?

I. პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეები დამოუკიდებლად გეგმავენ საქმიანობას, განსაზღვრავენ სხვადასხვა აქტივობაზე გასანაწილებელ დროს, ეჩვევიან სამუშაოს ორგანიზებას.

II. პროექტზე მუშაობა და მისი განხორციელება მოსწავლეებისაგან ხანგრძლივ ძალისხმევას მოითხოვს, რაც შეიძლება შესრულებული სამუშაოს ხარისხზე უარყოფითად აისახოს, მოსწავლეებმა კი დაკარგონ მოტივაცია.

III. პროექტზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რა რესურსია აუცილებელი, სად და როგორ შეიძლება მათი მოძიება და მოძიებული მასალის გაერთიანება, ეჩვევიან სხვადასხვა მასალის მომზადებას.

ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 25

ყველაზე მეტად რომელი რეკომენდაციის გათვალისწინება დაეხმარება მასწავლებელს, დაიცვას მოსწავლეთა შეფასების ძირითადი პრინციპები?

ა) მასწავლებელი უნდა იყოს ლოიალური სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეების შეფასების დროს.

ბ) მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ ერთმანეთის შეფასებები, რათა დარწმუნდნენ მასწავლებლის ობიექტურობაში.

გ) მოსწავლე წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული, როგორ აისახება საკლასო ოთახში შეუფერებელი ქცევა მის აკადემიურ შეფასებაზე.

დ) მოსწავლეებისათვის ნათელი უნდა იყოს, თუ რა პრინციპებითა და კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს მასწავლებელი შეფასების დროს.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში - სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ რომელიმე მათგანი შესაძლოა, ორ პირობას შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.

შესაბამისობის დავალებები ერთქულიანია.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 26

სწავლებისადმი დიფერენცირებული მიდგომა განსხვავებული პერსპექტივით წარმოაჩენს სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შესაძლებლობებს, რაც ტრადიციული სწავლების დროს შესაძლოა, შეუმჩნეველიც კი დარჩეს.

ცხრილის A სვეტში მოცემულია სასწავლო პროცესის აღწერები, ხოლო B სვეტში სწავლების ტიპები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

სასწავლო პროცესის აღწერა (A)	**სწავლების ტიპი (B)**
I. ინსტრუქციები ერთმანეთისგან განსხვავებულია და მოდიფიცირებულია მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით.	ა) ტრადიციული სწავლება ბ) დიფერენცირებული სწავლება
II. შეფასება ხდება უმეტესად კონკრეტული საკითხის შეჯამებისას და იგი, ძირითადად, განმსაზღვრელია.	
III. რესურსი შერჩეულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების, ცოდნისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.	

- *შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში.*

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 27

ცხრილის A სვეტში მოცემულია კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიის გამოყენების მაგალითები, ხოლო B სვეტში კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

მაგალითი (A)	სტრატეგია (B)
I. ამ სტრატეგიის გამოყენების შედეგად ორივე მხარე გამარჯვებულია, კომუნიკაცია ეფექტურია, ურთიერთობები ძლიერია, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებები გრძელვადიან პერსპექტივაზეა ორიენტირებული.	ა) კომპრომისი ბ) განრიდება გ) თანამშრომლობა დ) კონკურენცია
II. ამ სტრატეგიის გამოყენება საშუალებას აძლევს მხარეებს, ისე წარმართონ მსჯელობა, რომ ნაწილობრივ მაინც დაიკმაყოფილონ ინტერესები.	
III. ამ სტრატეგიის გამოყენების დროს ადამიანისათვის მთავარია საკუთარი მიზნების მიღწევა, ის სრულებით არ არის დაინტერესებული ურთიერთობის შენარჩუნებით.	

- *შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში.*

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მისი მაქსიმალური ქულა.

დავალება N 28

მაქსიმალური ქულა - 3

„ - რატომ ვდგავარ აქ, ზემოთ? გაქვთ ვინმეს პასუხი?- მერხზე იმიტომ დავდექი, რომ საკუთარ თავს შევახსენო: ჩვენ მუდმივად უნდა ვცდილობდეთ, საგნებს განსხვავებული რაკურსით შევხედოთ.“

(„მკვდარი პოეტების საზოგადოება“, რეჟისორი პიტერ უირი, 1989 წ.)

- აღწერეთ სტრატეგია, რომლის გამოყენებითაც მასწავლებელი მოსწავლეებს დაეხმარება კრიტიკული აზროვნების განვითარებაში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანობა.

***პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.**

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 29

მაქსიმალური ქულა - 3

მეექვსე კლასის მოსწავლე სკოლიდან ბოლო დროს ხშირად ნამტირალევი ბრუნდება. მშობლებმა შვილის მეგობრისაგან შეიტყვეს, რომ მას თანაკლასელები დასცინიან, რადგან კლასში მის გარდა ყველას უახლესი მოდელის მობილური ტელეფონი აქვს. მოსწავლის მშობლებმა კლასის დამრიგებელს სთხოვეს პრობლემის მოგვარება.

- აღწერეთ სტრატეგია, რომელიც უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა კლასში ბულინგის პრობლემის მოსაგვარებლად.
- ახსენით, როგორ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგია პრობლემის მოგვარებას.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 30

მაქსიმალური ქულა - 3

ქიმიის გაკვეთილზე მასწავლებელმა მოსწავლეებს პრაქტიკული აქტივობა შესთავაზა. მან წინასწარ მოამზადა ჩხირები და ფერადი ბურთულები, რომლებიც სხვადასხვა ელემენტს აღნიშნავდა. მასწავლებელმა მოსწავლეები დააწყვილა და დაავალა მოცემული ფორმულების მიხედვით მოლეკულების აწყობა. ისინი ქმნიდნენ წყლის, ჟანგბადის, ნახშირორჟანგის მოდელებს. დავალების დასრულების შემდეგ თითოეულმა წყვილმა საკუთარი მოდელი წარუდგინა კლასს და განმარტა, რომელი ელემენტები მონაწილეობდა მოლეკულის აგებაში, რამდენი ატომისგან შედგებოდა თითოეული ნივთიერება და როგორ უკავშირდებოდნენ ისინი ერთმანეთს.

- აღწერეთ კეთებით სწავლის ერთი დადებითი შედეგი.
- განმარტეთ, როგორ უწყობს ხელს კეთებით სწავლა თქვენ მიერ აღწერილი შედეგის მიღწევას.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში - სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ რომელიმე მათგანი შესაძლოა, ორ პირობას შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.

შესაბამისობის დავალებები ერთქულიანია.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 31

ცხრილის A სვეტში მოცემულია მასწავლებლის ქმედებები, ხოლო B სვეტში თეორიული მიდგომები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

ქმედება (A)		თეორიული მიდგომა (B)
I.	მოსწავლეს, რომელსაც უჭირს ახალი მასალიდან ამოცანების ამოხსნა, მასწავლებელი მეწყვილედ შეურჩევს უფრო ძლიერ მოსწავლეს.	ა) აღმოჩენებით სწავლა ბ) ბიჰევიორისტული გ) სოციალური დასწავლა დ) სოციო-კულტურული
II.	მოსწავლეთა სასურველი ქცევების გამოვლენის სიხშირის გაზრდის მიზნით, მასწავლებელი იყენებს წახალისების მექანიზმებს.	
III.	მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, რომ სახლში ჩაატარონ ექსპერიმენტი და ჩამოაყალიბონ შესაბამისი დასკვნები.	

- *შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში.*

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

ინსტრუქცია

არჩევითპასუხებიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხებიანი დავალებები ერთქულიანია.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 32

სწავლების პროცესში რომელი პირობის გათვალისწინება **არ არის** აუცილებელი პერკინსის „თეორია ერთი“-ს ეფექტიანად გამოყენებისათვის?

ა) მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეს ინფორმაციის გააზრების საშუალებას მისცემს.

ბ) მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა მისცეს სრული დამოუკიდებლობა და არ ჩაერიოს რჩევებით სასწავლო პროცესში.

გ) მასწავლებელმა მიზნის მისაღწევად უნდა იზრუნოს მოსწავლის შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ამაღლებაზე.

დ) მასწავლებელმა მოსწავლეს ნათლად უნდა განუსაზღვროს სასწავლო მიზნები და მოსალოდნელი შედეგები.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 33

ვიგოტსკის სოციო-კულტურული თეორიის თანახმად, სკაფოლდინგი ანუ „ხარაჩოს“ მეთოდი სხვადასხვა ტიპის დახმარებას ითვალისწინებს. მისი მიზანი არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაა, არამედ მოსწავლის კოგნიტური განვითარების ხელშეწყობაც.

ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაში **არ იყენებს** მასწავლებელი სკაფოლდინგს?

ა) მასწავლებელი მოსწავლეებს შეურჩევს თავიანთი ასაკის, სასწავლო საფეხურისა და შესაძლებლობების შესაბამის დავალებებს, რომელთაც ისინი დამოუკიდებლად გაართმევენ თავს.

ბ) მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს ნიმუშს, თუ ეტაპობრივად როგორ უნდა ამოიხსნას რთული მათემატიკური ამოცანა, ვიდრე ისინი ანალოგიური სავარჯიშოების ამოხსნას დაიწყებენ.

გ) ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელს მოჰყავს ბევრი პრაქტიკული მაგალითი და ცდილობს, დაუკავშიროს რთული თეორიული ცოდნა მოსწავლეების რეალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

დ) მასწავლებელი ახსნის დროს იყენებს გრაფიკულ ორგანიზატორებს, როგორებიცაა: ვენის დიაგრამა, დროის ხაზი, გონებრივი რუკა, რათა დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი იდეების უკეთ ორგანიზებაში.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 34

მასწავლებელმა მესამე კლასის მოსწავლეებს დაურიგა მათ მიერ წინა წელს შექმნილი ილუსტრირებული წიგნები, რომლებშიც მთვარეზე დაკვირვების ჩანახატები იყო. შემდეგ ვიზუალურ მბრუნავ მოდელზე დაკვირვებით აუხსნა, რომ მთვარის ფაზებს მზის, დედამიწისა და მთვარის ურთიერთმდებარეობა განაპირობებს. მასწავლებელი მოსწავლეებს დაჰპირდა, რომ მომდევნო წელს ამავე საკითხს უფრო ვრცლად და სიღრმისეულად გაივლიდნენ.

ჩამოთვლილთაგან სწავლების რომელ მეთოდს შეესაბამება მასწავლებლის მიერ გამოყენებული სტრატეგია?

ა) ალბერტ ბანდურას მოდელზე დაკვირვებით სწავლას

ბ) ბერას სკინერის ოპერანტულ განპირობებულობას

გ) ჯერომ ბრუნერის სპირალური კურიკულუმის მეთოდს

დ) აბრაჰამ მასლოუს მოტივთა იერარქიის მოდელს

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 35

ადამიანის განვითარების პროცესს სხვადასხვა ფსიქოლოგიური თეორია განსხვავებული პოზიციიდან განიხილავს.

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება შეესაბამება ჰუმანისტური თეორიის პრინციპებს?

ა) მოსწავლე აკვირდება თანაკლასელებს და მათი მიბაძვით ცდილობს, რომ შეცვალოს მისთვის დამახასიათებელი ქცევა.

ბ) მოსწავლე საკლასო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით ცვლის მისთვის დამახასიათებელი ქცევისა და აზროვნების სქემებს.

გ) მოსწავლე ხშირად იმეორებს ქცევას, რომელიც მას სასურველ შედეგამდე მიიყვანს - ის დაიმსახურებს მასწავლებლის შექებას.

დ) მოსწავლეს კეთილგანწყობილ გარემოში უადვილდება საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება და სხვათა პატივისცემის დამსახურება.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 36

ტრადიციულისაგან განსხვავებული, თანამედროვე კონსტრუქტივისტული სწავლება უნდა მიმდინარეობდეს შესაბამის გარემოში.

ჩამოთვლილთაგან რომელ მსჯელობაში/მსჯელობებში ჩანს, რომ მასწავლებელი ქმნის თანამედროვე სწავლებისათვის რელევანტურ სასწავლო გარემოს?

I. მასწავლებელი სრულყოფილად აწვდის მოსწავლეებს მასალას და ზედმიწევნით მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ პროგრამას.

II. მასწავლებელი წაახალისებს მოსწავლეებს, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და ამის საფუძველზე დაასკვნის, როგორ მიმდინარეობს სწავლის პროცესი.

III. მასწავლებელი სწავლების პროცესში უფრო ხშირად იყენებს განმავითარებელ უკუკავშირს და ნაკლებად მიმართავს მოსწავლეების ნიშნით შეფასებას.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ)მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მისი მაქსიმალური ქულა.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37

დავალება N 37

მაქსიმალური ქულა - 3

წარმოგიდგენთ დიალოგს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის:

მასწავლებელი: დღეს შენით ძალიან უკმაყოფილო ვარ.

მოსწავლე: რატომ, მას?

მასწავლებელი: შენი დღევანდელი შედეგი იმით არის გამოწვეული, რომ ზარმაცი ხარ და არ აკეთებ იმას, რაც ნამდვილად შეგიძლია.

გააანალიზეთ აღწერილი სიტუაცია მასლოუს თეორიაზე დაყრდნობით. შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- განმარტეთ, როგორ შეიძლება აისახოს მასწავლებლის ამგვარი შეფასება მოსწავლის სწავლის პროცესზე.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

****პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.***

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37